



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „არაგველები“ - თბ „ივერია“		
გუნდი	თბ „ივერია“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	27/11/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ვაზისუბანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი			
მომჩივანი			საჩივარი
			მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	<p>1. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 5.8 არ დაარღვიოს სრკ-ს მოქმედი რეგულაციები, დებულებები, წესდება, სრკ-ს გამგეობის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;</p> <p>2. სრკ-ს დაბულება საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ - მუხლი 8. ეკიპირება 8.1. ჩემპიონატში მონაწილე ნებისმიერი გუნდი ვალდებულია იქონიოს ერთნაირი სათამაშო ფორმა (23 კაცზე დანომრული მაისური 1-დან 23 ნომრის ჩათვლით, შორტი და გამაში) და განსხვავებული ფერის უმკლავებო მოსასხამი "ექიმის" და "წყლის მიმტანის" წარწერით.</p>		<p style="text-align: right;">წითელი ზარათი საითინგი სხვა ✓</p> <p>თუ „სხვა“ აღწერეთ :</p> <p>მატჩის მეთვალყურის, ირმა გულიაშვილის, თამაშის ოქმი</p>



განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	30/11/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „ივერია“-ს, წარმომადგენელი ირაკლი ჭელიძე(სატელეფონო ჩართვა)	აღნიშნუთ ვინ	

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის, ირმა გულიაშვილის, თამაშის ოქმი;

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

თბ „ივერია“-ს წარმომადგენელმა, ირაკლი ჭელიძემ, განაცხადა რომ, თამაშის ოქმში დაფიქსირებული თამაშის ჩაშლის მიზეზი(თბ“ივერია“-ს მოთამაშეებს არ ჰქონდათ სათამაშო ფორმა და ლიცენზიები) განპირობებული იყო გუნდის მწვრთნელთან (რომლსაც ჰქონდა მოთამაშეთა ფორმები და ლიცენზიები) კომუნიკაციის ვერ დამყარებით.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 27/11/2022, სრკ-ს მიერ დანიშნულ მატჩზე, თბ „არაგველები“-სა და თბ „ივერია“-ს შორის რეგიონალურ ლიგაში, თბ „ივერია“-ს მოთამაშეებს არ ჰქონდათ სათამაშო ფორმა და ლიცენზიები, რაც გახდა თამაშის ჩაშლის მიზეზი.
2. თბ „ივერია“-ს წარმომადგენელმა, ირაკლი ჭელიძის სატელეფონო გამოკითხვის დროს მოყვანილი არგუმენტები არ არის საპატიო მიზეზი.

გადაწყვეტილება

1. თბ „ივერია“-ს რეგიონალურ ლიგაში დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში რეგიონალურ ლიგაში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. თბ „არაგველებს“ ჩაეთვალოს მოგება, მიენიჭოს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და ანგარიში დაფიქსირდეს 3:0.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	30/11/2022
-----------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.